ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №142/ს

თბილისი „13“ 12. 2013წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ შპს „ACHO-007" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის წარმომადგენლის გია ბერბიჭაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი სახსრების ფარგლებში,, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატის საჭიროებისათვის ტუალეტის ქაღალდის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 33700000 – პირადი ჰიგიენა, ობიექტი-3376000-ტუალეტის ქაღალდი) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 500 (ხუთასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში, შემსყიდველის ოფისში მისამართი: ქ. ქუთაისი, სოლომონ მე-2-ის მე-4 ჩიხი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2 საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან" სამი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"

სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
საქართველოს ბანკი
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE87BG0000000291880101
ს/კ # 205169592

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ACHO-007"
ქ. თბილისი, შუამთის 2
ს/ს პროკრედიტ ბანკი
ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი № MIBGGE22
ანგარიშის №GE85PC0093600100025822
საიდენტიფიკაციო კოდი №406071913

გია ბერბიჭაშვილი
დირექტორის წარმომადგენელი

დანართი #1

#	დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ტუალეტის ქაღალდი (ერთფენიანი 65 მეტრიანი)	33761000	ცალი	1000	0,5	500
					სულ:	500 ლარი

„შემსყიდველი“

სსიპ“ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა, დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „ACHO-007“

გია ბერბიჭაშვილი
დირექტორის წარმომადგენელი